



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87213631

თარიღი:29/12/2021

განკარგულება N50

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N79 განკარგულებაში და დამტკიცებული გეგმის „ნაწილი 6 - სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით;
3. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

